



სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (Bachelor of Business Administration)
პროგრამის ხელმძღვანელები	<i>პროგრამის ხელმძღვანელი: რომან მამულაძე, პროფესორი</i> <i>პროგრამის თანახელმძღვანელები:</i> მედეა ქავთარაძე, ასოცირებული პროფესორი ლედი ძნელაძე, ასოცირებული პროფესორი
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ.№53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება - 4 სასწავლო წელი (8 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	240 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	სწავლის ფორმები: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, კონსულტაცია და პროფესიული პრაქტიკა. სწავლის მეთოდები: დემონსტრირების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი; დისკუსია/დებატები; შემთხვევის ანალიზი; როლური თამაშები; წერითი დავალება; პროექტის პრეზენტაცია; ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების შესრულება; სიტუაციური ანალიზი; გონებრივი იერიში; ქეისების ამოხსნა.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით ბიზნესის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის უმთავრესი საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შავიზღვისპირეთის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეფექტიანი

AF -2 №06-23

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 30.01.2016

მოქმედებაშია 30.01.2016



	<p>გამოყენების საქმეში. ამასთან, ექნებათ დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის, დინამიურ ბიზნეს-გარემოში მუშაობისა და ხელმძღვანელობის უნარ-ჩვევები და შეძლებენ ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას, მათ შორის: საზღვაო გადაზიდვების, ლოჯისტიკის, ნავსადგურის მენეჯმენტის და საზღვაო ტურიზმის სფეროში.</p>
<p>პროგრამის შედეგები</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს:</p> <p>ზოგადი კომპეტენციები:</p> <p>იცის პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი მართვის მეცნიერებების თანამედროვე პრინციპები და მეთოდები; შეუძლია სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაცია. ბიზნეს პროცესების კვლევებში სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდებისა და მოდელების დამოუკიდებლად გამოყენება; სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის გენერირება, დამუშავება, ანალიზი, სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა; თეორიული ცოდნის, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით გადმოცემა და მოსაზრებების საჯარო პრეზენტაცია; მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მნიშვნელოვანი პროცესებისა და პრობლემების კვალიფიციური ანალიზი; ახალი ინფორმაციის განზოგადება, შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა; განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა. არსებული პრობლემების გადასაწყვეტად მოლაპარაკებების წარმოება, კონტრაქტების მომზადება და დადება; სამსახურებრივ უფლებამოსილებათა წარმატებით განხორციელება, ურთიერთობა და თანამშრომლობა როგორც შიდაორგანიზაციულ დონეზე, ისე ფართო საზოგადოებასთან. აცნობიერებს სამართლებრივ და პროფესიულ პასუხისმგებლობას ორგანიზაციასა და</p>



საზოგადოებაში, მონაწილეობს ბიზნესის სფეროში ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

დარგობრივი კომპეტენციები:

იცის: საზღვაო გადაზიდვებისა და ლოჯისტიკის, სფეროს კომპლექსური საკითხები, ლოჯისტიკის მენეჯერის ფუნქციები და კომპეტენციები; ლოჯისტიკური სისტემების მართვის თანამედროვე მეთოდები; თანამედროვე ლოჯისტიკური კონცეფციები; სატრანსპორტო სისტემების მართვის თანამედროვე მეთოდები; საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციის პრინციპები, საერთაშორისო გადაზიდვების თანამედროვე კონცეფციები და მოდელები; შეუძლია სატრანსპორტო სექტორის შემუშავება, ორგანიზაცია და კონსოლიდაცია, სატრანსპორტო-საექსპედიტორო ოპერაციების დაგეგმვა და მართვა; იცის გემის კომერციული, ტექნიკური და კრუინგული მენეჯმენტის ორგანიზაცია, ჩარტერის პროფორმებისა და სატვირთო დოკუმენტაციის გამოყენება; იცის ნავსადგურის მენეჯმენტის კომპლექსური საკითხები, ნავსადგურის მუშაობის მართვის თავისებურებები, ნავსადგურის მენეჯერის ფუნქციები და კომპეტენციები; სანავსადგურო ოპერაციების და სატრანსპორტო ტერმინალის მენეჯმენტის საკვანძო საკითხები; საზღვაო ტრანსპორტზე სატვირთო ოპერაციების ორგანიზაციის, დასაწყობების ლოჯისტიკისა და ტვირთის უსაფრთხო და დაცული გადატვირთვის პრინციპები, ტვირთის გადატვირთვის მეთოდები და საშუალებები; იცის: საზღვაო ტურიზმის სფეროს საკვანძო საკითხები, საკრუიზო ტურიზმში მართვის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები; ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ, ტურისტული ორგანიზაციების მართვის, სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები; საერთაშორისო და ნაციონალური ნორმების გამოყენებით, ტურისტული ოპერაციების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის ძირითადი თეორიები და პრინციპები; შეუძლია, აგენტებთან, საბაჟო ბროკერებთან მუშაობა; მეწარმეებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, იმპორტიორებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთკავშირის დამყარება. ინგლისურ ენაზე საქმიანი მოლაპარაკებების წარმოება, კონტრაქტების მომზადება და გაფორმება; შეუძლია



	<p>ტურისტული პროდუქტების დაგეგმვის, ორგანიზაციის, მართვის, კონტროლის, ანალიზისა და სინთეზის, ასევე, ტურისტული კომპანიების მართვის პროცესებთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტა; იცის საკრუიზო გემებზე კომერციული საქმიანობის - სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის ორგანიზებისა და მართვის მეთოდები; შეუძლია საზღვაო ტურიზმში არსებული ორგანიზაციული პრობლემების შეცნობა, სიტუაციის ანალიტიკური შეფასება, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. აგრეთვე ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დასახვა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება; შეუძლია ტურისტული მარშრუტის შემუშავება, საკრუიზო ტურისტული ოპერაციების დაგეგმვა და მართვა; მათემატიკური გამოთვლების ჩატარება საკრუიზო ტურისტული ოპერაციების შესრულებისას.</p>
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ მოცულობაა 240 ECTS, მათ შორის 195 კრედიტი არის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხოლო 45 არჩევითი და არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კურსები. პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> • საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 ECTS; • სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები - 75 ECTS; • კონცენტრირებული კომპონენტების სასწავლო კურსები - 60 ECTS; • არჩევითი და არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კურსები - 45 ECTS.
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>კურსდამთავრებული, რომელსაც მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შეიძლება დასაქმდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საზღვაო ნავსადგურებში და სატრანსპორტო ტერმინალებში; • საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში და საკრუინგო კომპანიებში; • ლოჯისტიკურ კომპანიებში; • ბიზნეს და სახელმწიფო სტრუქტურების

AF -2 №06-23

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 30.01.2016

მოქმედებაშია 30.01.2016



	<p>ლოჯისტიკის განყოფილებებში;</p> <ul style="list-style-type: none"> • სატრანსპორტო საწარმოების ეკონომიკურ და ფინანსურ სამსახურებში; • საექსპედიტორო და სააგენტო კომპანიებში; • შემოსავლების (საბაჟო) სამსახურებში; • ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროში; • კერძო, საჯარო, არასამთავრობო და აკადემიურ სექტორებში; • საერთაშორისო ორგანიზაციებში; • ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში; • ტურიზმის სექტორში (ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურისტული კომპანიები, ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორული ფირმები) და დასაქმდეს ტურიზმის და მასპინძლობის დარგის ორგანიზაციებში (მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, პროექტების მენეჯერი და ა.შ.); • არასამთავრობო, და ყველა იმ ორგანიზაციებში, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
<p>ადამიანური რესურსი</p>	<p>პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს კონკურსის წესით არჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სულ 46.</p> <p>მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესორი - 6; • ასოცირებული პროფესორი - 22; • ასისტენტ პროფესორი - 3; • ასისტენტი - 3; • მოწვეული მასწავლებელი - 12;
<p>მატერიალური რესურსი</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის სტუდენტს უფლება აქვს წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.</p> <p>მათთვის ხელმისაწვდომია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერნეტი;



	<ul style="list-style-type: none"> • აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი; • პროექტორები და სადემონსტრაციო მონიტორები; • მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში. <p>სრულყოფილი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველსაყოფად აკადემია სტუდენტებს სთავაზობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • აკადემიის სპორტულ ბაზაზე არსებულ სპორტულ სექციებში გაწევრიანების შესაძლებლობას; • სხვადასხვა სახის კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას; • საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და საზღვაო აკადემიის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საზღვაო აკადემიის წესდების შესაბამისად; • საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას სხვა რეგიონებიდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის.
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>აკადემიაში მოქმედებს „გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა“ რომელიც შემუშავებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული პროცედურა განაპირობებს სილაბუსის ავტორების მიერ სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტების, კრიტერიუმების და მეთოდების გათვალისწინებას, რითაც უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების გამჭვირვალობა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა.</p> <p>შეფასების პროცესი მრავალკომპონენტია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა წილიც საბოლოო შეფასებაში შეადგენს შესაბამისად 30/30/40%-ს. მიმდინარე შეფასებას ახორციელებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელიც შეფასების თითოეულ კომპონენტში მიღწეულ შედეგს აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში. შუალედური შეფასება</p>

AF -2 №06-23

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 30.01.2016

მოქმედებაშია 30.01.2016



	მოიცავს პროფესორის რეიტინგულ შეფასებას (15 ქულა, 15%) და შუალედურ გამოცდას, რომელსაც, ისე როგორც დასკვნით გამოცდას, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტი. სტუდენტს აკადემიის ელექტრონული სერვისების გამოყენებით შეუძლია ნებისმიერ დროს გაეცნოს მიღებული შეფასების შედეგებს და მოახდინოს მასზე რეაგირება (კონსულტაცია, აპელაცია და სხვა).
პროგრამის სტატუსი	ახალი